ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 3 (სამი) თვის შესრულების შესახებ

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ, რომ 2026 წლის პირველი 3 თვის მონაცემებით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულებულია 76.2%-ით, გეგმით გათვალისწინებული 6 527.2 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადგინა 4 976.9 ათასი ლარი, რაც გეგმიურ მაჩვენებელზე 1 550.3 ათასი ლარით ნაკლებია.

- **საგადასახადო შემოსავალი** შესრულებულია 87.0 %-ით. გეგმით განსაზღვრული 5 224.2 ათასი ლარიდან მობილიზებულია 4 542.7 ათასი ლარი, რაც გეგმაზე ნაკლებია - 681.5 ათასი ლარით/ მათ შორის:
- ✓ **დღგ**; შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 103.3 %-ს, გეგმა - 4 288.2 ათასი ლარი, ფაქტი კი - 4 431.8 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე მეტია - 203.6 ათასი ლარით.
- ✓ **ქონების გადასახადი** შესრულებულია 11.8 %-ით, გეგმა - 936.0 ათასი ლარი, ფაქტი კი - 110.8 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 825.2 ათასი ლარით.
- **სხვა შემოსავლები** შესრულებულია 153.5 % - ით. გეგმა- 186.6 ათასი ლარი, ფაქტი - 286.4 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე მეტია - 99.8 ათასი ლარით.
- **არაფინანსური აქტივების კლება** შესრულებულია 663 % -ით. გეგმით გათვალისწინებულია 6.5 ათასი ლარი, ფაქტი- 43.1 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე მეტია 36.6 ათასი ლარით.
- **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია ტრანსფერი** - 104.7 ათასი ლარის ოდენობით, გეგმით - 1 109.9 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 1 005.2 ათასი ლარით ანუ გეგმა შესრულებულია -9.4 %-ით.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შესრულებულია - 41.8 %, გეგმით - 7 974.6 ათასი ლარი, ფაქტიურად - 3 331.5 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 4 643.1 ათასი ლარით.

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** - დაფინანსებულია 1 053.0 ათასი ლარით, გეგმა - 1 404.9 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია 351.9 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია - 75 %-ით, მათ შორის:
- ✓ საკრებულო - გეგმა შესრულებულია - 86.6 %-ით, გეგმა - 332.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 287.4 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 44.6 ათასი ლარით.
- ✓ მერია - გეგმა შესრულებულია - 75.8 %-ით, გეგმა - 1 010.2 ათასი ლარი, ფაქტიურად - 765.7 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 244.5 ათასი ლარით.
- ✓ სარეზერვო ფონდი გეგმა შესრულებულია 28.5 %-ით, გეგმა - 87.5 ათასი ლარი, ფაქტიურად - 24.9 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 62.6 ათასი ლარით.
- **ინფრასტრუქტურა** - დაფინანსებულია 185.7 ათასი ლარით, გეგმა - 3 258.3 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 3 072.6 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია - 5.7 %-ით, მათ შორის:
- ✓ გზების მშნებელობის, რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვის ხარჯი- დაფინანსებულია - 7.8 ათასი ლარით, გეგმა - 2 284.3 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 2 276.5 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია - 0.3 %-ით.
- ✓ ტრაფარეტების მონტაჟი - გეგმით გათვალისწინებულია 2.5 ათასი ლარი - არ დაფინანსდა.
- ✓ რადარების მონტაჟი - გეგმით 13.7 ათას ლარი, დაფინანსებულია 5.2 ათასი ლარით, გეგმაზე ნაკლებია - 8.5 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია - 38 %-ით.
- ✓ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – გეგმით 93.9 ათასი ლარი, დაფინანსებულია - 38.4 ათასი ლარით, გეგმაზე ნაკლებია - 55.5 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია - 40.9 %-ით.
- ✓ გარე განათების რეაბილიტაცია- დაფინანსებულია - 74.9 ათასი ლარი, გეგმა – 75.0 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 0.1 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია– 100.0 %.
- ✓ გარე განათება ექსპლუატაცია - დაფინანსებულია - 21.9 ათასი ლარი, გეგმა - 55.7 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 33.8 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია– 39.3 %.

- ✓ რიტუალების სახლები, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა – დაფინანსებულია – 2.5 ათას ლარი, გეგმა – 483.1 ათას ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 480.6 ათას ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია – 0.5 %.
- ✓ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესრულებულია - 14.0 %-ით, გეგმა - 250.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 35.0 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 215.0 ათასი ლარით.
- ➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა** - დაფინანსებულია 128.7 ათასი ლარით, გეგმა- 182.0 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია-53.3 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია - 70.7 %-ით, მათ შორის:
- ✓ დასუფთავების ღონისძიებები- დაფინანსებულია - 70.9 %-ით, გეგმა - 172.6 ათასი ლარი, ფაქტიურად კი - 122.4 ათასი ლარი გეგმაზე ნაკლებია - 50.2 ათას ლარით .
- ✓ მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა განვითარება - დაფინანსებულია - 67.0 %-ით, გეგმა - 9.4 ათასი ლარი, ფაქტიურად კი -6.3 ათასი ლარი გეგმაზე ნაკლებია - 3.1 ათას ლარით.
- ➢ **განათლება** - დაფინანსებულია 859.3 ათასი ლარით, გეგმა - 1 229.3 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 370.0 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია - 70.0 %-ით, მათ შორის:
- ✓ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება - დაფინანსებულია 693.4 ათასი ლარით, გეგმა - 899.5 ათასი ლარი, გეგმა 77.1 %-ით, ანუ გეგმაზე ნაკლებია- 206.1 ათასი ლარით.
- ✓ სკოლების რეაბილიტაცია მშენებლობა - დაფინანსებულია 165.8 ათასი ლარით, გეგმა - 329.8 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია- 50.3 %-ით, ანუ გეგმაზე ნაკლებია- 164.0 ათასი ლარით.
- ➢ **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** - დაფინანსებულია 500.2 ათასი ლარით, გეგმა - 625.1 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია- 124.9 ათასი ლარით, გეგმა შესრულებულია- 80.0 %-ით, მათ შორის:
- ✓ სპორტული ღონისძიებები - დაფინანსებულია- 82.7 % , გეგმა -176.6 ათასი ლარი, ფაქტიურად - 146.0 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 30.6 ათასი ლარით.
- ✓ სპორტული სკოლა - დაფინანსებულია - 77.0 %-ით, გეგმა- 141.1 ათასი ლარი, ფაქტიურად კი – 108.6 ათასი ლარი. გეგმაზე ნაკლებია - 32.5 ათას ლარი,
- ✓ ნინოწმინდის კულტურის ცენტრი-დაფინანსებულია- 55.1 %-ით, გეგმა -73.3 ათასი ლარი, ფაქტიურად - 40.4 ათასი ლარი. გეგმაზე ნაკლებია - 32.9 ათას ლარი.
- ✓ ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა-დაფინანსებულია - 96.1 %-ით, გეგმა - 31.0 ათასი ლარი, ფაქტიურად -29.8 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია -1.2 ათასი ლარით.
- ✓ ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება - დაფინანსებულია - 17.5 ათასი ლარით, გეგმა - 21.8 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია -4.3 ათასი ლარით, გეგმა შესრულებულია- 80.3 %-ით.
- ✓ სამუსიკო სკოლა, დაფინანსებულია - 86.3 %-ით, გეგმა - 70.1 ათასი ლარი, ფაქტიურად - 60.5 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 9.6 ათას ლარით.
- ✓ ვაჰან ტერიანის სახელობის მუზეუმი - დაფინანსებულია - 88.1 %-ით, გეგმა - 12.6 ათასი ლარი, ფაქტიურად - 11.1 ათასი ლარი, გეგმაზე ნაკლებია - 1.5 ათას ლარით.
- ✓ ქ. ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი - დაფინანსებულია 78.4 %-ით, გეგმა -11.6 ათასი ლარი, ფაქტიურად - 9.1 ათასი ლარი. გეგმაზე ნაკლებია - 2.5 ათას ლარით.
- ✓ ნინოწმინდის მუნიციპალური გაზეთი „არშალუისი" - დაფინანსებულია - 89.4 %-ით, გეგმა - 13.2 ათასი ლარი, ფაქტიურად კი - 11.8 ათასი ლარი. ანუ გეგმაზე ნაკლებია- 1.4 ათასი ლარით.
- ✓ ტელე- რადიო მაუწყებლობა, დაფინანსებულია -100 %-ით, გეგმა -20.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 20.0 ათასი ლარი.
- ✓ ტრადიციული და კალენდარული დღესასწაულების ღონისძიებები, გეგმით - 0.9 ათასი ლარი, დაფინანსებულია - 55.6 %-ით, ფაქტიურად - 0.5 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 0.4 ათასი ლარით.
- ✓ ახალგაზრდულ ორგანიზაციების ღონისძიებები - დაფინანსებულია 97.7 %-ით, გეგმა - 29.8 ათასი ლარი, ფაქტიურად - 29.1 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია 0.7 ათასი ლარით.

- ✓ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა - გეგმით გათვალისწინებულია 2.6 ათასი ლარი. დაფინანსებულია - 69.2 %-ით, ფაქტიურად - 1.8 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 0.8 ათასი ლარით.
- ✓ რელიგია, დაფინანსებულია - 68.3 %-ით, გეგმა - 20.5 ათასი ლარი, ფაქტიურად - 14.0 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 6.5 ათასი ლარით.
- ➢ **სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა** - დაფინანსებულია 47.4 %-ით, გეგმა - 1 275.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 604.7 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია - 670.3 ათასი ლარით, მათ შორის :
- ✓ ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი - დაფინანსებულია - 79.4 %-ით, გეგმა - 60.2 ათასი ლარი, ფაქტიურად - 47.8 ათასი ლარი ანუ გეგმაზე ნაკლებია - 12.4 ათასი ლარით.
- ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯები დაფინანსებულია - 48.7 %-ით, გეგმა - 705.8 ათასი ლარი, ფაქტიურად - 343.7 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია – 362.1 ათასი ლარით.
- ✓ ერთჯერადი ფინანსური დახმარება ორმხრივად და ცალმხრივად ობოლ ბავშვთა ოჯახებს და მრავალწევრიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაფინანსებულია - 28.9 %-ით, გეგმა - 90.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 26.0 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია – 64.0 ათასი ლარით.
- ✓ შშმ პირების ფინანსური დახმარება დაფინანსებულია - 76.3 %-ით, გეგმა - 48.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 36.6 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია – 11.4 ათასი ლარით.
- ✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სოციალური დახმარება - გეგმით გათვალისწინებული იყო 3.5 ათასი ლარი, არ დაფინანსდა.
- ✓ ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსებულია - 18.7 %-ით, გეგმა - 165.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 30.9 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია – 134.1 ათასი ლარით.
- ✓ მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა დაფინანსებულია - 63.3 %-ით, გეგმა - 12.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 7.6 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია – 4.4 ათასი ლარით.
- ✓ გაჭირვებული ოჯახებისათვის საწვავის შეძენა დაფინანსებულია - 68 %-ით, გეგმა - 45.0 ათასი ლარი, ფაქტიურად - 30.6 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია – 14.4 ათასი ლარით.
- ✓ ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაჭირვებული ოჯახებისათვის დაფინანსებულია - 56.2 %-ით, გეგმა - 139.1 ათასი ლარი, ფაქტიურად - 78.2 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია – 60.9 ათასი ლარით.
- ✓ ვეტერანებისთვის ფინანსური დახმარება დაფინანსებულია - 52.3 %-ით, გეგმა - 6.5 ათასი ლარი, ფაქტიურად - 3.4 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე ნაკლებია – 3.1 ათასი ლარით.

დაფინანსებულია მიზნობრივად, ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვის განაწილების თანახმად.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვაან არაიან